პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 აგვისტო, ოთხშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 191 (15703)

ტაბაკველელ ნადირეფლ — უკოველ ტაბაკველელ!

დღეს უკეთ ვიმუშაოთ, ვიდრე გუშინ, ხვალ — უკეთ, ვიდრე დღეს!

გეგმა — ყველა მაჩვენებლით

რამდენადმე გამოსწორდა მდგომარეობა საშენ მასალათა მრეწველობაში. დიდი ხნის მანძილზე ეს დარგი ერთ-ერთი ჩამორჩენილი იყო რეპუბლიკაში, მიმდინარე წლის ექვსი თვეში კი გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ბევრი სასაქონლო პროდუქცია.

ამ საერთო წარმატებაში ღირსეული წვლილი შეაქვს თბილისის საშენ მასალათა კომბინატის (დირექტორი მ. მგელაძე) კოლექტივს. ხუთწლედის მესამე წლის პირველი დღეებიდანვე ენერგიულად შეუდგნენ შრომას გეგმისა და ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. წლის პირველ ნახევარში მაღალი შრომითი მაჩვენებლები მოიპოვეს. პროდუქციის რეალიზაციის დავალება 111,8 პროცენტით გაანაღდეს, გეგმის გადამეტებით მომზმარებელს 152 ათასი მანეთის პროდუქცია მიპყიდეს. საერთო პროდუქციის დავალებას 187 ათასი მანეთით გადააჭარბეს, შრომის ნაყოფიერება 4,2 პროცენტით აამაღლეს. თვითღირებულების შემცირებისა და მასალებისა და ნედლეულის ეკონომიის შედეგად მიიღეს 78 ათასი მანეთი - ზედგამოთი მოგება.

შრომის ორგანიზებულად მოწყობისა და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის აზით, არსებულ საწარმოო ფართობზე მნიშვნელოვნად გაადიდეს პროდუქციის გამოშვება და აამაღლეს მისი ხარისხი. გასულ წლის პირველ ნახევართან შედარებით პროდუქციის რეალიზაცია 37,5 პროცენტით გაიზარდა, საერთო პროდუქციისა — 30,4 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 4,2 პროცენტით, მოგება — 15,5 პროცენტით.

წლის პირველი ნახევრის შედეგებს ღრმა ეკონომიური ანალიზი გაუკეთეს, საქართველოს, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს და ახლა თვადადებით იბრძვიან მათი შესრულებისათვის. შვიდი თვის პროდუქციის რეალიზაციის დავალება 110,9 პროცენტით შეასრულეს, საერთო პროდუქციისა — 113,5 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება 4,5 პროცენტით გაზარდეს. უკეთ მუშაობენ აგვისტოში.

მაღალნაყოფიერად შრომობენ და პროდუქციის გამოშვებას სისტემატურად ზრდიან პლასტმასის ნაწარმის საამქრო (უფროსი ვ. გიგინეიშვილი) და წითელი თიხის კერამიკული საამქრო (უფროსი ი. ცერიაშვილი).

მეორე გამარჯვება

ზესტაფონის რაისამრეწველო კომბინატის კოლექტივმა ხუთწლედის მესამე წლის გეგმისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის ფართოდ გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება, ჯონვრულად მოაწყო შრომა. შეჯამდა ნახევარი წლის შედეგები. მაჩვენებლები კარგი გვაქვს. წლის პირველ ნახევარში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 111,1 პროცენტით შეასრულეს, ხოლო რეალიზაციისა — 110,3 პროცენტით, გეგმის გადამეტებით გამოშვებული და რეალიზებულია 110 ათასი მანეთის პროდუქცია. აღსანიშნავია, რომ პროდუქციის გამოშვების გეგმა განაღდებულია ასორტიმენტის მიხედვით. ამავე პერიოდში შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 3,3 პროცენტით. ზეგეგმიერმა მოგებამ 45 ათასი მანეთი შეადგინა.

კომბინატის კოლექტივმა პირველ კვარტალში მაღალი შრომითი მაჩვენებლების მოპოვებისათვის რესპუბლიკურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს. პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მოიპოვა, საწარმომ მეორე კვარტალში კიდევ უფრო გააძლიერა შრომის ტემპი და კვლავ მეინარეობა მაღალი ჯილდო.

კომბინატის კოლექტივი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ახალი ენერგიით იბრძვის წლის მეორე ნახევარში. შვიდი თვის დავალება საამობოლოს 15 ივლისისათვის გეგმაგაკრ რეალიზაციის მოცულობა 109,4 პროცენტით შეასრულეს, ხოლო პროდუქციის გამოშვებისა — 111,4 პროცენტით, — აღნობა რედაქციას ზესტაფონის რაისამრეწველო კომბინატის დირექტორმა დ. ბაბენიშვილმ.

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ნოვატორი მჭოველი ლოლა ჭანკოტაძე სიამოვნებით უზიარებს თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახალგაზრდა მუშებს. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ლოლა ჭანკოტაძეს (მარცხნივ) თავის მოსწავლესთან დარეჯან მიქანაძესთან ერთად.

ა. საპაროვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მარნეულელ მცხვნელ-მთესველთა წარმატება

გვეასუბრება საქართველოს კპ მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი

დ. მაღალაშვილი

ჯარგად იშრომეს წელს მარნეულის რაიონის მბვნელ-მთესველებმა. 6.818 ჰექტარზე დათესილ თავთავიან მარცვლეულ კულტურებს არ მოაკლეს მზრუნველი ხელი. შედეგიც საამაყოა — საშუალოდ ჰექტარზე მოსავალმა 24,6 ცენტნერი შეადგინა. სულ გალეწილია 16.788 ტონა პურეულის მარცვალი.

ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ სახელმწიფოსათვის მიეყიდათ პირველი განალეწი 6.500 ტონა მაღალხარისხოვანი მარცვალი. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა, რაისაბჭოს აღმასკომმა თავიანთი მუშობა დაუკავშირეს იმას, რომ სასახელოდ შეესრულებინათ პირობა, სიტყვას საქმეც მოჰყვა. სახელმწიფოს მიეყიდა 9.517 ტონა ხარისხოვანი მარცვალი. ეს **გეგმა-ვალდებულებას 3.917 ტონით სჭარბობს.**

რაიონის ყველა საზოგადოებრივმა მეურნეობამ ბოსტნეულობის ზრდის გეგმა-ვალდებულება და სახელმწიფოსათვის პურეულის მარცვლის მიყიდვის დავალება გადაჭარბებით შეასრულა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველაზე უფრო დაწინაურდა **ალგეთის საბჭოთა მეურნეობა** (დირექტორი ა. გასანოვი, პარტკომის მდივანი ი. ჯოლფაევი). ალგეთელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.094 ტონა მარცვალი. **მეღანლოს საბჭოთა მეურნეობამ** (დირექტორი ნ. სინჯიაშვილი, პარტკომის მდივანი ნ. ოჯაევი) სახელმწიფოს მიჰყიდა 1.765 ტონა მარცვალი, ხოლო **მარნეულის საბჭოთა მეურნეობამ** (დირექტორი ო. მანაგაძე, პარტკომის მდივანი დ. იბრაგიმოვი) — 1.000 ტონა.

წელს რაიონში მარცვლეულთან ერთად ბოსტნეულის მოსავალიც. სახელმწიფოს ოკეი მიეყიდა 17.520 ტონა ბოსტნეული ნაცვლად წლიური ვეგმით გათვალისწინებული 17.040 ტონისა.

მარნეულელები მიღწეულს როდი დასჯერდნენ. წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს აბარებენ მარცვლეულს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. რაიონის მბვნელ-მთესველები ამთავითვე ზრუნავენ მომავალი წლის უხვი მოსავლის მისაღებად.

სამემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების დასათესად მომარაგებულია და მიმდინარეობს თესლის კონდიციამდე აყვანა. იხვნება ნიადაგი, ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებანი საშემოდგომო თესვის მაღალ აგროტექნიკურ დონეზე, ნატარებისათვის.

□ □

მარნეულის რაიონის ალგეთის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორებმა თავიანთი აგრეგატები მინდვრად შეუფერხებლად ამუშავეს. ამის შედეგად პური 690 ჰექტარზე დროულად და უდანაკარგოდ აიღეს. მოსავალი კარგია. საშუალოდ ჰექტარზე 25 ცენტნერზე მეტია მიღებული. სახელმწიფოს დიდძალი მარცვალი მიჰყიდეს.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ე. გასანოვი, კომბაინერი ი. იხკანდაროვი და აგრონომი ფ. რზაევი მკაზე.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ალმა-ათაში ჩავიდა

14 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი** ალმა-ათაში ჩავიდა.

ამხ. **ლ. ი. ბრეჟნევთან** ერთად ჩავიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ზ. ნ. ნურიევი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის დამზადების მინისტრი **გ. ს. ზოლოტუხინი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე **გ. ე. ცუკანოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები **ვ. ა. გოლიკოვი, ა. ი. ბლატოვი.**

ალმა-ათის აეროპორტში ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევს** დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **დ. ა. კუნაევი**, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ს. ბ. ნიაზბეკოვი**, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ა. აშიმოვი**, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პიროს წევრები და წევრობის კანდიდატები, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა, ალმა-ათის ოლქისა და ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები. (საკდესი).

გულითადი მილოცვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ კიმ ირ სენსა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ჩოე

აბ ინს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც გულითადად ულოცავენ კორეის განთავისუფლების დღეს.

28 წელი გავიდა მას შემდეგ, ნათქვამია დეპეშაში, რაც საბჭოთა არმიამ გაანადგურა იაპონიის მილიტარიზმის მთავარი ძალები და, ასრულებდა რა თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას, აზიის ბევრ ხალხს დაეხმარა დასდგომოდა თავისუფალი განვითარების გზას. გამარჯვებით დაგვირგვინდა ეროვნული განთავისუფლების საქმე, რომლისთვისაც კორეელი ხალხი და მისი რევოლუციური შეიარაღებული ძალები შეუპოვრად და ვაჟკაცურად იბრძოდნენ.

დღეს, თითქმის სამი ათწლეულის შემდეგ, განსაკუთრებით ნათლად ჩანს, თუ რა ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა კორეის განთავისუფლებას კორეელი ერის ბედისათვის. აიღეს რა ძალაუფლება თავიანთ ხელში, მუშებმა, გლეხებმა და მშრომელმა ინტელიგენციამ შრომის პარტიის ხელმძღვანელობით და სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან მჭიდრო თანამშრომლობით განახორციელეს ძირეული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა გადაიქცეს ინდუსტრიულად განვითარებულ სოციალისტურ სახელმწიფოდ.

საბჭოთა ადამიანები ძმურად მიესალმებიან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიულ მიღწევებს და მეგობარ კორეელ ხალხს უსურვებენ ახალ გამარჯვებებს შრომის ფრონტზე. საბჭოთა ხალხი განუხრელ სოლიდარობასა და მხარდაჭერას უწევს კორეის შრომის პარტიასა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის აქტიურ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის მშვიდობიან დემოკრატიულ გარითანებას.

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ მეგობრობა და თანამშრომლობა, რომლებიც ჩვენს პარტიებს, სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის დამყარდა, განუხრელად განვითარდება და განმტკიცდება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. (საკდესი).

მისალოცი დეპეშა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ კიმ ირ სენსა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ მარიან ხაშაბის გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც გულითადად ულოცავენ კორეის ხალხებს ადამიანურ ეროვნულ-სანალოგიანი თარიღს — რევოლუციის 10 წლისთავს.

საბჭოთა ადამიანები, ნათქვამია დეპეშაში, დიდი სიმპათიითა და გაგებით ეკიდებიან მეგობარი კორეელი ხალხის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია დემოკრატიულ გარდაქმნათა განხორციელება, კორეის რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცება და შემდგომი განვითარება, საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ კორეის სახალხო რესპუბლიკის წვლილს პროგრესული ძალების ბრძოლაში იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ.

დიდი კმაყოფილების გრძნობით აღვნიშნავთ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარდა ჯეელრწფელი მეგობრობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის ურთიერთობა. დარწმუნებული ვართ, რომ ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდება და განვითარდება საბჭოთა კავშირისა და კორეის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა საკეთილდღეოდ, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობისა და შეკავშირების, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ინტერესების შესაბამისად. (საკდესი).

სტუდენტთა მსოფლიო სპორტული ასპარეზობის — უნივერსიადა — 73-ის მონაწილეებსა და სტუმრებს

მოსკოვში სტუდენტთა მსოფლიო სპორტული ასპარეზობის გახსნის დღეს გულითადად მოგესალმებით ახალგაზრდობის 1973 წლის ამ უდიდესი საერთაშორისო სპორტული ფორუმის მონაწილეებსა და სტუმრებს.

სტუდენტთა მსოფლიო ასპარეზობა კარგი ტრადიციაა, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდობის საუკეთესო ფიზიკური და სულიერი თვისებების განვითარებას. იგი ემსახურება საერთაშორისო სპორტული ურთიერთობის გაფართოების, მსოფლიოს ყველა ქვეყნის სტუდენტი ახალგაზრდობის ინტერნაციონალური მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების კეთილშობილურ მიზანს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და სსრ კავშირის მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ მშრომელებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის კეთილდღეობის გეუმჯობესებისა და ჯანმთელობის გაკაჟებისათვის, ყოველმხრივი სულიერი და ფიზიკური განვითარებისათვის. ფიზიკური კულტურა და სპორტი მკვიდრდება საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტლივ უმჯობესდება ამ უმნიშვნელოვანესი სოციალური ამოცანის გადაწყვეტის პირობები.

დიდი ლენინის ანდერძის ერთგული საბჭოთა სახელმწიფო მუდამ უჭერდა და უჭერს ზარს იმ ძალებს, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის, მსოფლიოს მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა ურთიერთგაგებისათვის. ჩვენს დღეებში, როცა მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებანი ხდება საერთაშორისო ვითარებაში, მიმდინარეობს შემობრუნება „ცივი ომიდან" დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობისაკენ, ყველა ქვეყნის სტუდენტ ახალგაზრდობას ეძლევა უფრო ხელსაყრელი შესაძლებლობანი კულტურული და სპორტული ურთიერთობის გაფართოებისათვის, ჰუმანიზმის, ხალხთა ურთიერთგაგებისა და მეგობრობის იდეების დასამკვიდრებლად ბრძოლის შემდგომი გაკაჟებისათვის.

სპორტი მხოლოდ მტკიცე მშვიდობის პირობებში შეიძლება გახდეს ნამდვილად ყოველი ადამიანის კუთვნილება, ხელი შეუწყოს თქვენი ახალგაზრდული ხალისის, ძალის, ენერგიის, ცოდნისა და ნიჭის საუკეთესო გამოყენებას აღმშენებლობითი შრომისათვის.

დაე სტუდენტთა მსოფლიო მოსკოვის სპორტული ასპარეზობა არა მარტო სპორტისა და ახალგაზრდობის დღესასწაული გახდეს, არამედ ღირსეულადაც შეუწყოს ხელი მშვიდობისათვის, პროგრესისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში ახალგაზრდობის თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებას.

ბედნიერ სტარტებს, ახალ სპორტულ გამარჯვებებსა და რეკორდებს გისურვებთ მოსკოვის უნივერსიადის ყველა მონაწილეს.

ლ. ბრეჟნევი

საქმიანი ვიზიტით

14 აგვისტოს ვარშავიდან მოსკოვში საქმიანი ვიზიტით ჩამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. იარუზელსკი. მასთან ერთად ჩამოვიდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჯ. ტრეტიაკი და ზ. მარინი.

საუბრის დროს ჩილელმა ამხანაგებმა ილაპარაკეს იმ ბრძოლაზე, რომელსაც კომპარტია და მთავრობა კოალიციის სხვა ძალებ ეწევიან ჩილელი ხალხის მონაპოვართა დასაცავად, რეაქციის ძირგამომხარული მოქმედების ჩასაშლელად, სახალხო ერთიანობის პროგრამის შემდგომი შესრულების უზრუნველყოფად, სალვადორ ალიენდეს მეთაურობით ჩილეს მთავრობის ღონისძიებათა მხარდასაჭერად.

ამხანაგებმა ა. ნ. კირილენკომ და ბ. ნ. პონომარიოვმა ილაპარაკეს საბჭოთა ადამიანების შემოქმედებით შრომაზე, რომელიც იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის, სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის რეალიზაციაზე, იმ საგარეოპოლიტიკურ ღონისძიებებზე, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს საერთაშორისო ურთიერთობაში პოზიტიური შემობრუნების განსამტკიცებლად, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გასაღრმავებლად და გასაფართოებლად.

ჩილეს კომპარტიის ხელმძღვანელობის დავალებით ამხანაგები ვ. ტეტიტლბიომი და გ. მარინი მადლიერების გრძნობით გამოეხმაურნენ ჩილეს მშრომელი ხალხისადმი ინტერნაციონალურ სოლიდარობას, რომელებსაც მუდამ იჩენენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ყველა საბჭოთა ადამიანი, მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო საქმიანობას. ამის პასუხად მადლობა გადაუხადა მაღალი შეფასებისათვის და გამეცადეს, რომ საბჭოთა კავშირის სოლიდარობა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ხალხებისადმი, მათ შორის ჩილეს ხალხისადმი საბჭოთა ადამიანებს თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნიათ.

საუბრის დროს გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა საკითხებზეც.

საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური საარვეზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე მ. ი. გუსკოვი.

ზესტად შესრულდეს პარიზის შეთანხმება

13 **აგვისტოს** სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოში გაიმართა პრეს-კონფერენცია. მას მონაწილეებს გააცნეს მრავალი ფაქტი, რომელებიც მოწმობენ, რომ საიგონის ადმინისტრაცია სისტემატურად და სერიოზულად არღვევს პარიზის შეთანხმებას, კერძოდ, პირობებს, რომლებიც ეხება პოლიტიკურ პატიმართა გათავისუფლებას.

პრეს-კონფერენციაა გახსნა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა სსრ კავშირში კაო ვან ჰუნგმა.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა **სამხრეთ ვიეტნამის** პატრიოტთა გაერთიანებულ ფრონტის **კომიტეტის** გენერალური მდივანი **ლუ ფონგ თხანი, რომელმაც** გადაჭრით დაგმო საიგონის ადმინისტრაციის მოქმედება. (საკდესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მილოცვა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობას და ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალური ხელმძღვანელობის გენერალურ მდივანს, ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ აჰმედ ჰასანალ-ბაქრს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მიულოცა პირადად მას, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის რეგიონალურ ხელმძღვანელობას და ყველა წევრს, რომ არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია და ერაყის კომპარტია შეთანხმდნენ ითანამშრომლონ ეროვნული მოქმედების ჭარტის შესაბამისად ერაყში პროგრესული ეროვნულ-პატრიოტული ფრონტის შექმნის მიზნით.

დეპეშაში ნათქვამია, რომ მიღწეული შეთანხმება, რომელსაც შეუძლია შეაერთიანოს სხვა ეროვნული ანტიიმპერიალისტური ძალები, და უწინარეს ყოვლისა ქურთისტანის დემოკრატიული პარტია, მოასწავებს პროგრესული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების ინტენსიურ განვითარებას, რომელიც, დასაბამი მიეცა 1968 წელს, როცა საბჭოეთმა ხელმძღვანელობას სათავეში ჩაუდგა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია, დეპეშაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ამ შეთანხმების მეოხებით დათრგუნავენ შინაგანი და გარეგანი რეაქციის ხრიკებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიას, მთელ ერაყელ ხალხს და მის დემოკრატიულ ძალებს უსურვებს ახალ წარმატებებს საამშენოს პროგრესული განვითარებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცების არჩეულ გზაზე. (საკდესი).

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა ფამ ვან დონგს

13 **აგვისტოს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი შეხვდა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრს ფამ ვან დონგს, რომელიც მოსკოვში იმყოფება ჰანოიში ჭაბუნ მიმავალი.

ა. ნ. კოსიგინსა და ფამ ვან დონგს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი, რომლის დროს ხანგრძლივ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის, საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური სოლიდარობისა და მეგობრობის შემდგომი განვითარების საკითხები. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა ფირიმის შეხვედრას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რეგიონალური მთავრობის პოზიციისათვის მხარდაჭერის საქმეში, რომელიც მოითხოვენ ყველა მხარემ განუხრელად შეასრულოს პარიზის შეთანხმება და ბატიჟი სცეს ინდოჩინეთის ხალხთა იმ უფლებას, რომ თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი ბედი.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ო. ბ. რახმანინი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ვო ფუან ფონგი. (საკდესი).

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

13 **აგვისტოს** სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. კირილენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და ჩილეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ფ. ფეიერეზმანი.

საუბრის დროს ჩილელმა ამხანაგებმა ილაპარაკეს იმ ბრძოლაზე, რომელსაც ჩილეს კომპარტია და მთავრობა ეწევიან ჩილელი ხალხის მონაპოვართა დასაცავად, რეაქციის ძირგამომხარული მოქმედების ჩასაშლელად, სახალხო ერთიანობის პროგრამის შემდგომი შესრულების უზრუნველყოფად, სალვადორ ალიენდეს მეთაურობით ჩილეს მთავრობის ღონისძიებათა მხარდასაჭერად.

ამხანაგებმა ა. ნ. კირილენკომ და ბ. ნ. პონომარიოვმა ილაპარაკეს საბჭოთა ადამიანების შემოქმედებით შრომაზე, რომელიც იბრძვიან მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის, სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის რეალიზაციაზე, იმ საგარეოპოლიტიკურ ღონისძიებებზე, რომელსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს საერთაშორისო ურთიერთობაში პოზიტიური შემობრუნების განსამტკიცებლად, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გასაღრმავებლად და გასაფართოებლად.

ჩილეს კომპარტიის ხელმძღვანელობის დავალებით ამხანაგები ვ. ტეტიტლბიომი და გ. მარინი მადლიერების გრძნობით გამოეხმაურნენ ჩილეს მშრომელი ხალხისადმი ინტერნაციონალურ სოლიდარობას, რომელებსაც მუდამ იჩენენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, ყველა საბჭოთა ადამიანი, მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო საქმიანობას. ამის პასუხად მადლობა გადაუხადა მაღალი შეფასებისათვის და გამეცადეს, რომ საბჭოთა კავშირის სოლიდარობა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ხალხებისადმი, მათ შორის ჩილეს ხალხისადმი საბჭოთა ადამიანებს თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნიათ.

საუბრის დროს გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა საკითხებზეც.

საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური საარვეზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე მ. ი. გუსკოვი.

ეროვნული — გაიხსნა ასამბლეა

14 **აგვისტო.** (საკდესი). დღეს გაიხსნა 24-ე პლენარული ასამბლეა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშემწყობი ასოციაციების მსოფლიო ფედერაციისა, რომელშიც გაერთიანებული არიან მსოფლიოს საგუდაკათზე მეტი ქვეყნის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშემწყობი ეროვნული ასოციაციები. ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობს საბჭოთა დელეგაცია.

ეროვნის ერთა სასახლეში, სადაც ასამბლეა მიმდინარეობს, განსაკუთრებით იჯრქნობა ახალი ტენდენციები საერთაშორისო ურთიერთობაში საბჭოთა კავშირის მიერ მშვიდობის პროგრამის წარმატებით განხორციელების მეოხებით, რომელიც სკკპ XXIV ყრილობამ მიიღო.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშემწყობი ასოციაციების მსოფლიო ფედერაციის 24-ე პლენარული ასამბლეის დღის წესრიგში მთავარი ადგილი უკავია საკითხს, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა მოწიწებულობდეს საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობისა და აგრმური იარაღის გამოყენების სამუდამო აკრძალვის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციის, ახლო აღმოსავლეთის შესახებ უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის რეზოლუციის, აგრეთვე საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციის პრაქტიკულ განხორციელებაში.

მოგაღიშო

თანამშრომლობის ახალი ეტაპი

14 **აგვისტო.** (საკდესი). აქ ხელი მოაწერეს ოქმს, რომლის თანახმად სომალის დემოკრატიული რესპუბლიკა 1974-1976 წლებში სსრ კავშირს გამოუგზავნის 30 მილიონ ქილა ხორცის კონსერვს.

სომალ-საბჭოთა კავშირის ახალი ოქმი მოწმობს, რომ იზრდება ორი ქვეყნის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა. სომალის ექსპორტის დიდნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს — ხორცის კონსერვებს ამზადებენ ჭალაჭ კისმაიუს ხორცკომბინატში, რომელიც საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით აშენდა. ხორცკომბინატი ყოველწლიურად უშვებს 20 მილიონამდე ქილა ხორცის კონსერვს.

ვინ გაიმარჯვებს!

ურთიერთ შეჯიბრებაში ჩართული საქართველოს სს რესპუბლიკის სამინისტროები

საავტომობილო გზების სამინისტრო — კომუნალური მეურნეობის სამინისტრო; ავტოტრანსპორტის სამინისტრო — კავშირგაბმულობის სამინისტრო; საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო — ვაჭრობის სამინისტრო; დამზადებათა სამინისტრო — მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო; კულტურის სამინისტრო — განათლების სამინისტრო; ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო — ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო; მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო — სასოფლო მშენებლობის სამინისტრო; ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო — კვების მრეწველობის სამინისტრო; საშინაო მასალათა მრეწველობის სამინისტრო — სასოფლო მშენებლობის სამინისტრო; სოფლის მეურნეობის სამინისტრო — საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო; მშენებლობის სამინისტრო — საშინაო მასალათა მრეწველობის სამინისტრო; საქართველოს მეტეოროლოგიის სამინისტრო; კულტურის სამინისტრო; ფინანსთა სამინისტრო; ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო; ფინანსების სამინისტრო; ბანკების სამინისტრო; ფინანსური კონტროლის სამინისტრო; ფინანსური ინსპექციის სამინისტრო; ფინანსური ინსპექციის სამინისტრო.

შრომა გისურვოთ, ახალგაზრდებო!

იმ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, ვინც საშუალო სასწავლებელი დაამთავრა

სკოლიდან — წარმოებაში

ადამიანი ვიდრე შრომის ყადრს არ შეიცნობს, ვიდრე არ იგრძნობს, რომ შრომა გვაკეთილშობილებს, ისე ცხოვრებას ფასი არა აქვს. ყოველგვარ მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა შექმნაში შრომის დიდი წილი ძევს. არ ვიცი, იქნებ ჭაბუკობისას მთელი სერიოზულობით არც მესმოდა მისი ესოდენ მაღალი დანიშნულება, მაგრამ ერთი კი ცხადი იყო. მე ხომ სამტრედიის სოფელ მელაურში დავიბადე და გავიზარდე, და ვხედავდი, როგორ შრომობდა გლეხაცა ბაღჩასა და ყანაში. ხნავდა, ბარავდა, ხეხილს უვლიდა. მერე შემოდგომაზე მისი გარჯით მოწეული ბარაქა ნალიებსა და ბელლებში ველარ ეტეოდა. მიწა უფასებდა კაცს დაუზარელ შრომასა და მოვლა-პატრონობას.

მეც მიჩვეული ვიყავი ყანაში მუშაობას და როცა ხელები დამიკოჟრდებოდა თოხნისა და ბარვისაგან, როგორღაც უფრო ამაყი ვხდებოდი... მერე თბილისის აბრეშუმსაქმოვ ფაბრიკაში დავიწყე შეგირდად მუშაობა. პირველად, რა დაგიმალოთ და, შემაკრთო ამ გიგანტურმა ხმაურიან დაზგებთან ტრიალმა, მაგრამ მალე ყველაფერს შევეჩვიე, ახლა ფაბრიკის ერთ-ერთ მოწინავე ბრიგადას ვთვლიცობ. ახალი თაოსნობის ინიციატორები ვართ — უწყვეტი გრაფიკით ვმუშაობთ. ჩვენი ვალდებულებაა მინიმუმამდე შევამციროთ მანქანების მოცდენა. თვით შესვენებაზეც კი არ ვიჩერებთ მანქანებს და ამრიგად გაზაცდენი არა გვაქვს. ჩვენ წარმოების ეგრეთ წოდებულ ანეიმატურ უბანზე ვმუშაობთ და გეგეშესაც გადაჭარბებით ვასრულებთ. მაგალითად, 7 თვეში 16.200 მეტრი ხამი აბრეშუმი გამოიშუშვით... ბრიგადაში ბევრი ახალგაზრდას შევასწავლე დაზგასთან მუშაობა. ახლა ისინი მოწინავენი არიან და მათს შრომითს გამოცდილებას ბევრგან იცნობენ. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ლოლა ჭანკვეტაძე, ყენია ფალავანდიშვილი თამარ თოფურია და სხვები.

ადრე ჩემს ბრიგადაში ბევრი ჭაბუკი და ქალიშვილი დოსტატდა. მათ შორის თემურ ჭუმბურიძე, ვალერიან გუბიევი (ახლა ის პირველი ბრიგადის ხელმძღვანელია), ომარ კოტრიკაძე ამჟამად ინჟინერია და ტექნიკურ სასწავლებელში ასწავლის, ხოლო გურამ მახათაძე მეცხრე ბრიგადას ხელმძღვანელობს. ბევრმა მათმა ტოლებმა წარმოებისაგან მოიწყვეტლივ დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი და ახლა სხვადასხვა უბანზე მუშაობენ. ეს ყველაფერი იმიტომ ვიგიხსენე, რომ ახლა დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში ბევრი ჭაბუკი და ქალიშვილი გამოცდებს აბარებს, ზოგიერთს ცოდნა არ ეყო მოხვედრილიყო სასწავლებელში. მე ამ ახალგაზრდებს მინდა შევახსენო, რომ უჭმად ყოფნას ბევრი ცუდი შედეგი მოჰყოლია ხოლმე. განა არ აჭობებს მოვიდნენ ხელმძღვანელობენ ამ ბრიგადაში ბევრ ადგილი ჰქონდა შრომითი და სახელმწიფო დისციპლინის უხეშ დარღვევებს, მიწერებსა და სხვა ნამაბინჯებებს. ერთი მაგალითი. ანგარიშებში უჩვენეს, რომ მუშათა დაბაში აშენდა მაღაზია. სინამდვილეში მაღაზია ააგეს 6 თვის შემდეგ. ახალმა ხელმძღვანელობამ ენერგიულად მოკიდა ხელი მშენებლობას, მაგრამ წარსულის მძიმე ტვირთი მაინც უკან ეწევა ხოლმე. როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმზე აღინიშნა, ჟინვალ-ჰეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა შესრულებულია მხოლოდ 88 პროცენტით.

ჩვენ ვესაუბრეთ საქჰიდროენერგომშენის ტრესტის მმართველის მოადგილეს მ. სანიკიძეს და საგზეშო განყოფილების უფროსს ვ. ახალაიას, მათ გვითხრეს, რომ მიმდინარე წლის 7 თვეში ჟინვალ-ჰეს-ის სამი დამკვეთიდან საქჰიდროენერგომშენის ხაზით გეგმა შესრულდა 97,6 პროცენტით, ზუთა სამინისტროს ხაზით 132 პროცენტით, დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომის დაკვეთის ხაზით — 72,3 პროცენტით. ჩამორჩება თბილისის რაიონული თბოსადგურის მშენებლობის სამმართველო (უფროსი ზ. მაჭავარიანი), რომელიც თბილისის ზღვის რაიონში აშენებს გამოიოლტრავ საგაზურს. ჩამორჩენა გამოწვეულია იმით, რომ, როცა ვაითხრა ქვაბული, აღმოჩნდა რომ ვეოლოგთა წინასწარი დასკვნები სწორი არ იყო, საჭიროა ბაზდა პროექტის ხელახალი შედგენა, ამან დაგვიანა ხამუშაოთა ფრონტის გაფართოება, 7 თვეში არ შესრულდა 96 ათასი მანეთის სამუშაო, საჭიროა ინსტიტუტ „თბილეიდროპროექტის“ თბილისის ფილიალმა დაჩქაროს მშენებლობის დაპროექტება. საქჰიდროენერგომშენის ტრესტის მმართველს ი. არობელიძეს და ჟინვალის ჰიდროკომპლექსის მშენებლობის სამშრომელოს უფროსს გ. ჭყონიას დასჭირდებათ უფრო უკეთესად გაუძღვნენ საქმეს, რათა მშენებლობის ყველა უბანი, როგორც ეპონი, აბრეშუმიანის სახელმწიფო გეგმას. ახლა მდგომარეობა სწორდება, უკანასკნელ ხანს მშენებლობის თითქმის ყველა უბანი დაწინაურდა. ეგვი არ არის, რომ ჟინვალის კომპლექსი წლიურ ვეგმას დიდი გადამეტებით გაანალ-

ვასილ გეგეშიძე,

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეცხოველეთა ბრიგადის ხელმძღვანელი.

ჩვენ გელით!

მომდინარე ხუთწლედის დამლევისათვის პროგრამა უნდა გაიზარდოს კიდევ დაახლოებით ერთნახევარჯერ. ცხადია, რომ კადრების საკითხი ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხია.

ქარხნის წინაშე დგას მნიშვნელოვანი ამოცანა: კოლექტივმა უნდა გამოიჭრას თანამედროვე ტიპის ელექტროძრავები, რომლებიც თავიანთი პარამეტრებით შეესაბამებიან მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშებს. ეს პროდუქცია დასაწყებლებულია XXIV კონგრესის დირექტივებში — ეს რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება მას სახალხო მეურნეობაში. ეს პროდუქცია გაიგზავნება საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში და მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის, გათავისუფლებულია გაიგზავნოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში, იტალიაში, ჩვენ მივიღეთ და დავამონტაჟეთ უახლესი მოწყობილობა, საბჭოური და საზღვარგარეთული. ჯაშენებთ დიდ საწარმოო კორპუსს, რომელიც აღჭურვილი იქნება სრულყოფილი ნაკეთური ხაზებით, ავრეგატებითა და ჩარხებით.

წარმოების სრულყოფაში წარმატებით გვეხმარებიან თბილისის, ლენინგრადის, ხარკოვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერები და სპეციალისტები.

ამრიგად, გულდაჯერებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ ქარხანაში შრომის უფრესად ყოთილნაყოფიერ პირობებზე.

პირველ ხანებში, საწარმოს ორგანიზაციის პერიოდში, როცა ეჭ მხოლოდ ორასამდე კაცი მუშაობდა, „მიკროძრავისათვის“ კადრებს ამზადებდნენ რესპუბლიკის გარეთ — ვილნიუსის „ელფას“ ქარხანაში და პერმის ელექტრომექანიკურ ქარხანაში. ახლა კი იმდენად გამოცდილი მუშაკები გვყავს, რომ პროფესიის ათვისების ესოდენ რთული გზის გავლა აღარ გვჭირდება. ჩვენ უმოკლეს დროში ვასწავლით ახალბედებს თითქმის ყველა ლითონოდამუშავებელ პროფესიას, ვამზადებთ მეგრანილიებს, ამწყობებს.

რაც შეეხება ჩვენი მუშაკების საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებს, ამ მიმართულებით ორა გვაქვს ცოდი პერსპექტივები. მაგალითად, ახლა მომდინარეობს ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება ქარხნის მუშაკებისათვის ორი 16 სართულიანი სახლის, ალრეთვე შავი ზღვის სანაპიროზე, მალთაყვაში (ფოთის მახლობლად) დასასვენებელი ბაზის მშენებლობისათვის. იმათთვის, ვინც მეორე ცვლაში მუშაობს, ორგანიზებულია უფასო ავტობუსი.

თავისუფალ დროს ქარხნის ახალგაზრდობას შეუძლია გაიართოს სპორტით — იაროს ფეხბურთის, ჭადრაკის, კალათბურთის, ხროლისა და სხვა სეკციებში, მოელი საჭირო ინვენტარი გვაქვს. ჩვენთან ჩამოყალიბებულია მხატვრული თვითმოქმედების წრეები. მალე ისინი იმეცადინებენ ახალ ასლებში. ჩვენი ახალგაზრდობა ძალიან ლოგიკურად დადის ქალაქგარეთ ექსკურსიებზე. ერთი სიტყვით, ახალგაზრდობა კარგად ატარებს დროს.

ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც მოისურვებენ ჩვენს კოლექტივში მუშაობას, თვითონ დარწმუნდებიან ამაში. ჩვენ სიხარულით მივიღებთ თქვენ, დაეხმარებით პროფესიის ათვისებაში, ყველა პირობას შევიქმნით სწავლის გასაკვირველებლად. და მე დარწმუნებული ვარ, რომ ახალგაზრდები, ისევე როგორც საწარმოში ოცი ათეული ამხანაგები, შეიყვარებენ ქარხანას, შეეთვისებიან მას. მაშ, გელით! მისამართი: 5 დეკემბრის მესამე შესახვევი, № 4.

კ. გვარიშვილი,

საქართველოს ელექტრომანქანათსამშენებლო გაერთიანების გენერალური დირექტორი.

ატმის ხილ-კენკროვანი კულტურებისა და ვაზის სახელმწიფო ჯიშთგამოცდელ უბანს 50 ჰექტარზე მეტი სავარგულები უჭირავს, რომლებზეც ცდიან თერმეტი სასოფლო-სამეურნეო კულტურის 300-მდე სხვადასხვა ჯიშს.

ამჟამად მიმდინარეობს ატმის კრეფა. სახელმწიფოს უკვე ჩაბარდა 650 ცენტნერი კენკრა. ხილის კრეფაში თავი გამოიჩინა ასმეტის რაიონული საბჭოს დეპუტატმა, სკკპ წევრობის კანდიდატმა ასმათ კოტორაშვილმა, რომელიც დღიურ დავალებას ორმაგი გადაჭარბებით ასრულებს.

სურათზე: ასმათ კოტორაშვილი ატამს კრეფს.

3. ცხაკაშვილის ფოტო (საინფორმის ფოტოკორესპონდენტი).

რატომ ბრკოლდება ხილ-ბოსტნეულის დამზადება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოსტნეულის, კურკოვანი, თესლოვანი ხილისა და ბალჩეულის დამზადება 1973 წლის 13 აგვისტოსათვის (ტონობით)

	თესლოვანი		კურკოვანი		ბოსტნეული		ბალჩეული	
	გეგმა დღეკვლის ჩათვლით	ფაქტიური დამზად.	გეგმა დღეკვლის ჩათვლით	ფაქტიური დამზად.	გეგმა დღეკვლის ჩათვლით	ფაქტიური დამზად.	გეგმა დღეკვლის ჩათვლით	ფაქტიური დამზად.
ახალქალაქის დამზ. კანტორა	—	—	—	—	2320	—	—	—
ახალციხის	2850	—	350	61	4000	398	—	—
ადიგენის	1252	—	135	23	1770	32	—	—
ასპინძის	440	0,1	210	31	300	4	—	—
ხაშურის	3120	10	2460	945	3670	197	—	—
ქარელის	8460	44	2810	601	3595	40	—	—
გორის	19870	200	4703	1335	11869	760	—	—
კასპის	2890	58	1230	201	6250	133	—	—
ბორჯომის	920	—	330	7	900	33	—	—
საგარეჯოს	1170	15	1320	220	1770	222	720	2
გურჯაანის	1320	40	600	116	1865	1118	1500	190
სიღნაღის	760	15	450	170	2040	780	700	5
წითელწყაროს	—	—	—	—	—	30	220	84
თელავის	1580	18	430	255	900	315	550	15
ახმეტის	1430	18	330	253	521	50	—	—
ყვარლის	1440	20	310	666	790	650	650	125
ლაგოდეხის	3000	32	580	351	6900	2818	1600	96
გარდაბნის	1580	125	3500	1572	51220	15950	1600	20
მცხეთის	1320	20	935	150	8735	380	—	—
მარნეულის	1536	30	1500	1442	17040	16920	2400	21
ბოლნისის	890	20	610	418	2000	225	600	5
წალკის	—	—	—	—	2480	—	—	—
დუშეთის	1530	5	1100	38	590	40	—	—
თეთრიწყაროს	1280	33	540	130	1500	180	—	—
დმანისის	210	—	—	—	300	—	—	—
თიანეთის	800	—	230	—	—	—	—	—
სამხრეთ-ოსეთის სახელმო კოოპკავ.	8460	25	2750	425	5486	65	—	—
წყალტუბოს დამზ. კანტორა	3430	18	2100	1095	19020	6370	160	—
საჩხერეთის	2600	70	2380	2400	14460	8088		
წულუკიძის	460	35	520	770	2550	1330		
ვანის	3380	950	1120	1375	2140	810		
მაიაკოვსკის	460	33	740	348	350	158		
ზესტაფონის	400	33	520	655	250	30		
თერჯოლის	1290	305	990	993	3820	1415		
ჭიათურის	560	60	940	971	700	22		
საჩხერის	1230	220	1150	605	250	20		
ორჯონიკიძის	460	—	660	532	—			
ტყიბულის	3280	10	2000	880	—			
ონის	1330	—	370	4,3	—			
ამბროლაურის	1740	—	660	18	—			
ცაგერის	2120	10	635	32	—			
აბაშის	330	10	397	298	1610	880		
ცხაკაიას	700	10	420	190	—			
გეგეჭკორის	1550	5	840	616	—			
ზუგდიდის	1540	21	600	563	480	170		
ხობის	430	2	290	298	—			
წალენჯიხის	790	3	400	302	—			
ჩხოროწყუს	1030	2	210	280	—			
მახარაძის	7387	25	1103	633	—			
ლანჩხუთის	8400	17	310	485	—			
ჩიბატაურის	1405	10	940	773	—			
აბხაზეთი	11100	630	2310	1000	8533	2618	200	—
აბერკოოპკავშირი	7050	65	700	415	1970	670		
სულ რესპუბლიკაში	132550	3367	50717	26035	195000	63921	10000	563

როგორც ცხრილიდან ჩანს, კურკოვანი ხილის დამზადება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა საგრძნობლად ჩამორჩენილა.

რამ გამოიწვია ეს? ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელობა უამინდობას აბრალებს. ფაქტები კი მოწმობენ, რომ ეს სინამდვილეს მოკლებულია. დადგენილია, რომ წელს შარშანდელთან შედარებით კურკოვანი ხილის დამზადების გეგმების შესრულებისათვის მეტი შესაძლებლობანი გვაქვს. მიუხედავად ამისა, ჩამორჩენილი რაიონების პარტიის რაიკომებმა, რაისაბჭოს აღმასკომებმა და დამამზადებელმა კანტორებმა სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს, საქმე თვითდინებაზე მიგდეს და ბუნების მოწყალებას ელოდნენ. კურკოვანი ხილის დამზადების სეზონი თითქმის იწურება. ახლა საჭიროა მთელი ძალები დავრაზმოთ ამ მიტად საჭირო პროდუქტის გეგმების შესრულებისათვის, ისე უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ არცერთი კილოგრამი ხილი არ დაიკარგოს.

ვინც საკოლმეურნეო ბაზრებში ყოფილა, დაადასტურებდა, რომ კოლმეურნეებს უხვად აქვთ შემოტანილი **ბალჩეული კულტურები.** საზოგადოებრივ მეურნეობებში კი ამ პროდუქტის დამზადებაში ჩამორჩენა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელმა პიზეზად კოოპ უამინდობა და დაავადება დასახელა. საინტერესოა, ამ ფაქტორებმა რატომ არ მოახდინეს გავლენა პირად მეურნეობებზე. როგორც ვხედავთ, აქ ამინდი და დაავადება არაფერ შუაშია. მთავარი ის არის, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეთაურები, რომლებსაც ეს კულტურები აქვთ დათესილი, მთელი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ საქმეს, გამოიჩინეს ზედაპირულობა. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა და რაისაბჭოს აღმასკომებმა სათანადო ყურადღება არ მიაქციეს, შეასუსტეს მომთხოვნელობა, სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ამ საქმეში დოლისაული არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს.

ბოსტნეულის დამზადება შედარებით გამოსწორდა, მაგრამ ბევრგან აქაც არის სერიოზული ნაკლოვანებები. ივნისში და ივლისში პამიდორი ძალზე მცირე რაოდენობით იყო დამზადებული, სრული დაკვირვებით ვერ მუშაობდნენ ხაკონსერვო ქარხნები. მაღაზიებშიც სიცარიელე იყო. პირველი ავგუსტოდან ჰამიდორი მასობრივად შემოვიდა, გაჩირდა მისი კრეფაც და გადამუშავებაც. რატომ ხდება ეს? ინიციატორ, რომ საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა საქმე ისე ვერ მოაგვარეს, რომ პამიდორი ყველა ნაკვეთში ერთბაშად არ შემოვიდეს. როგორც იტყობა, მეურნეობები ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ ასეთ შემთხვევაში დიდი დანაკარგები, შეუწყნარებლად ცდება ტრანსპორტი და გაუმართლებელი ხარჯები ყოველგვარ საზღვრებს სცილდება. საინტერესოა. რას იტყვის საბჭოთა მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობა,

ზაფხული გადის, ბადრიჯანი იშვიათად იყიდება ხილ-ბოსტნეულის მაღაზიებში. მეურნეობების, დამამზადებელი კანტორების ხელმძღვანელობი ამას რაღას დაამარალებენ?!

დასკვნა ასეთია. სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებში ჯერჯერობით სუსტია შრომისა და სახელმწიფო დისციპლინა, არ არის ორგანიზებული ბოსტნეულის მოყვანა პერიოდების მიხედვით, რაც კარგად უნდა გაითვალისწინონ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, რაისაბჭოს აღმასკომებმა და თვით საბჭოთა მეურნეობების მესვეურებმა.

ეს ბიჭები ... ეს ... ...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა:

ჩამორჩება „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტიც. ისეთ დიდ მნიშვნელოვან ობიექტზე, როგორიც ჟინვალ-ჰესია, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა შესრულებულია 88 პროცენტით.

ᲓᲘᲓᲘ ხანი როდია, რაც არაგვის ხეობაში, ჟინვალის ცოტა ქვემოთ. პირველი მშენებლები მოვიდნენ. მაშინ აქ უბრალო ნაპარალი იყო და მხოლოდ მთებს შორის მომეფერალი არაგვი თუ არღვევდა მყუდროებას. მერე ერთბაშად გამოცოცხლდა ქვემო არანისი, დაიგუგუნეს ტრაქტორებმა, ბულდოზერებმა, ასმაურდნენ ავტომანქანები, კომპრესორები, ასმიანდნენ ადამიანები. ახლა ამ ადგილას კარგა მოზრდილი დაბა იწონებს თავს კომუნალური მეურნეობით, ეურნებით, გზებით, მაღაზიებით, კლუბით... ეს გაბლავთ ჟინვალის ჰიდროკომპლექსის მშენებელთა დაბა, სადაც უკვდ მყოფს ომვიათად თუ იპოვნით, აქ ყველა მშენებელია, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს საშვილიშვილო საქმეში.

სამწუხაროდ, მშენებლობის პირველი პერიოდი ჟინვალ-ჰესში ალინიშნა უპასუხისმგებლობის და უთაურობის მრავალი მაგალითით. ადგილი ჰქონდა შრომითი და სახელმწიფო დისციპლინის უხეშ დარღვევებს, მიწერებსა და სხვა ნამაბინჯებებს. ერთი მაგალითი. ანგარიშებში უჩვენეს, რომ მუშათა დაბაში აშენდა მაღაზია. სინამდვილეში მაღაზია ააგეს 6 თვის შემდეგ. ახალმა ხელმძღვანელობამ ენერგიულად მოკიდა ხელი მშენებლობას, მაგრამ წარსულის მძიმე ტვირთი მაინც უკან ეწევა ხოლმე. ბევრი ეს ბიჭები, ...

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲦᲔ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲘᲒᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲠᲝᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲝᲑᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲧᲝᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲠᲐᲪ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲤᲔᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲥᲕᲔᲨᲐᲐ. ᲞᲠᲔᲡᲨᲘ, ᲐᲒᲠᲗᲝᲕᲔ ᲛᲝᲡᲐᲡᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲤᲔᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲥᲕᲔᲨᲐᲐ. ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲨᲘ, ᲠᲐᲪ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲛᲘᲠᲩᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲡ ᲛᲝᲛᲫᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲡ, ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲨᲔᲛᲯᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲐᲡ ᲛᲝᲛᲫᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲡ ᲐᲧᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ. ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ ᲯᲒᲣᲤᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ „ᲞᲘᲠᲘᲜᲘᲜᲒᲘᲗᲘ“. ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ — ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲐᲠᲐᲛᲝᲠᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲠᲝᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘ ᲛᲘᲠᲩᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲡ ᲛᲝᲛᲫᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠ

თუშეთის მაღალ მთებშია გადაჰიმული ახმეტის რაიონის ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის ნაზაფხულო საძოვრები.

ვიწრო ზოლად იკლაკნება მთის ბილიკი, რომელზეც ხიარული შეუძლია მხოლოდ ქვეითად მავალს.

ეს სურათები გადაიღო საქინფორმის ფოტოკორესპონდენტმა. მწყემსებს ეხატებინენ სასოფლო მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეები (ზემოთ). 18 წელია შრომობს მთის საბჭოთა მეურნეობაში ერთ-ერთი გამოცდილი მწყემსი არსენ არინდაული; თავისებურია მაღალი მთის სოფელ დართლოს კოლორიტი.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეგობრობის დიდი ფორუმი

დღეს მოსკოვში საჯეიმო ვითარებაში იხსნება უნივერსიადა-73 — სტუდენტთა მსოფლიო თამაშები

სპორტი, მეგობრობა, მშვიდობა — ასეთი დევიზით ეკრიბებიან ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში მსოფლიოს სტუდენტთა სპორტის საუკეთესო წარმომადგენლები.

დღეს, 15 აგვისტოს, მოსკოვის უდიდესი სპორტული ნაგებობის — ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ლუჟნიკში საზეიმო ვითარებაში გაიხსნება მიმდინარე წლის მთავარი სპორტული მოვლენა — საზაფხულო უნივერსიადა — 73, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ „მცირე ოლიმპიადას". 12 დღის განმავლობაში იხილავენ სპორტის მოყვარულები — მოსწავლეები და მათი მრავალრიცხოვანი სტუმრები პლანეტის საუკეთესო ათლეტებს — ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონებს, პრიზიორებს, რეკორდსმენებს. საკმარისია თქვას, რომ მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებზე სტუდენტები შეადგენდნენ მონაწილეთა ორ მესამედს. 99 ოლიმპიური მედლიდან, რომლებიც მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, 67 (აქედან 38 ოქროსი) ეკუთვნით სტუდენტ-მოსწავლეებს.

70 ქვეყნის 4500-მდე სპორტსმენი გამოვა მოსკოვის უნივერსიადას სტარტებზე. საბჭოთა კავშირის დედაქალაქი შემთხვევით როდი აირჩიეს ამ გრანდიოზული შეჯიბრების მასპინძლად. ეს არის უწინარეს ყოვლისა, ხარკი საბჭოთა სტუდენტური სპორტის დიდი გაანარჯებებისადმი საერთაშორისო სარბიელზე, სტუდენტთა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" თვალსაჩინო წარმატებებისადმი, რომლის დროშის ქვეშ დღეს შეკრებილია მილიონნახევარი სპორტსმენი — ათასობით სპორტის ოსტატი, თანრიგოსანი და მშთ ნიშნოსანი. ეს არის თუ გნებავთ, ხარკი იმ აზარა უპირატესობისადმი, რომელსაც მიაღწიეს საბჭოთა სტუდენტმა სპორტსმენებმა წინა ექვს უნივერსიადაზე. საკმარისია ითქვას, რომ მსოფლიოს სტუდენტური სპორტის ლიდერებმა უნივერსიადებზე მოიპოვეს 258 მედალი, მათ შორის 107 ოქროსი, 98 — ვერცხლისა და 53 — ბრინჯაოსი. პარიზი (1957 წელს), ტურინი (1959), სოფია (1961), პორტუ-ალეგრი (1963), ბუდაპეშტი (1965) და კვლავ ტურინი (1970 წელს) ჯაშუშრავდნენ საბჭოთა საორსტსმენების მაღალ ოსტატობას, ნებისყოფას, კეთილშობილებას.

მოსკოვის უნივერსიადაზე საბჭოთა სტუდენტთა გუნდი 240 სპორტსმენით არის წარმოდგენილი და გამოდის პროგრამის ათსავე სახეობაში: მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ცურვაში, წყალბურთში, წყალში ხტომაში, ფარიკაობაში, ჩოგბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ჭიდაობაში (კლასიკური და თავისუფალი).

საბჭოთა ნაკრებში შედიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. ყველაზე მეტი სპორტსმენი გამოდის მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტების, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და მოსკოვის ფიზიკურ-ლტურის ინსტიტუტიდან. საბჭოთა გუნდის საშუალო ასაკია 23 წელი. აღსანიშნავია, რომ უნივერსიადაზე დაიშვებიან სტუდენტი სპორტსმენები 17 წლის ასაკიდან 28 წლამდე. მონაწილეობის უფლება აქვთ აგრეთვე ასპირანტებსა და უმაღლეს სასწავლებლების კურსდამთავრებულებს, რომლებმაც ისინი დაამთავრეს არა უადრეს, ვიდრე ერთი წლის წინ.

მზადმბა უნივერსიადა — 73-საოვის საბჭოთა სპორტსმენებმა დაიწყეს ჯერ კიდევ გასულ წელს. ტრადიციისამებრ, ჩვენს ქვეყანაში უნივერსიადების წინ ეწყობა საკავშირო. სტუდენტთა თამაშები. ბოლო შეჯიბრებაში გამოვიდა მილიონზე მეტი სპორტსმენი, რომლებიც 600 სტუდენტთა კლუბს წარმოადგენენ. გამარჯვებულთაგან შერჩეულ ნაკრები გუნდების კანდიდატები — 400 სპორტსმენი 104 უმაღლესი სასწავლებლიდან. სხვადასხვა შეკრებებზე მიიწვიეს 40-მდე სპორტსმენი.

გულმოდგინედ ემზადებოდნენ უნივერსიადა-73-სათვის მძლეოსნები ვალერი ბორზოვი, იური ტარმაკი, ნადეჟდა ჩიჟოვა, ფაინა მელნიკი, ტანმოვარჯიშელები ლიუდმილა ტურიშჩევა, ოლგა კორბუტი, მოფარიავები ვალენტინა ბურიჩკინა და ელენე ბელოვა, მცურავები გალინა სტეპანოვა, ვლადიმერ ბური, ნიკოლოზ პანარინი, წყალბურთელები ალექსანდრე დრეგალი, ნუგზარ მშვენიერაძე, უძლიერესი ქართველი სპორტსმენები ანატოლი მოშიაშვილი, ლევან თოდიაშვილი, ვიქტორ სანე